საზოგადოებრივი კოლეჯი

ჯანსუა

ფრენა მოდი ხარისხია, ოჯახური ატმosფეროთი

კატალოგი 2023-2024

სარჩევი

ისტორია 1

მიმართვა სტუდენტებს 2

კოლეჯის სტატუსი 4

მისია / ხედვა/ღირებულებები 5

პანაცეას სტრუქტურა 6

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება 7

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება 8

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება 9

სტუდენტთა და მსმენელთა სერვისები 10

პარტნიორები 12

პროგრამების ცხრილი 13

პროგრამები 15

პანაცეას შესახებ 32

აქტივობები 39

საზოგადოებრივი კოლეჯი

საზოგადოებრივი კოლეჯი ჰანაცეა

140 წელი ოლღას საბებიო სკოლიდან პანაცეამდე

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის 140 წელი შეუსრულდა. მისი ისტორია სათავეს იღებს მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში - "ოლღას საბებიო სკოლიდან" (1875-1878 წწ), რომელიც მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში გადაკეთდა "მეორე სამედიცინო სასწავლებლად", ხოლო 2011 წელს კი მიიღო საბოლოო სახე და ეწოდა - საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა.

საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას მამოძრავებელი მოტივი არის - **სწავლება მაღალი ხარისხით, რელური დასაქმებისთვის.** ჩვენი კურსდამთავრებულთა 85-90% დასაქმებულია საქართველოს წამყვან სამედიცინო დაწესებულებებში.

პარტნიორული ხელშეკრულებები გაფორმებულია დარგის 30-ზე მეტ ბიზნეს კომპანიასთან: ევექსი ჰოსპიტლები; გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი; შპს "პინეო სამედიცინო ეკოსისტემა"; ა(ა)იპ "საქართველოს კარიტასი"; შპს "პსპ" ფარმა; ნიუ ჰოსპიტალსი; შპს "გეფა"; შპს თბილისის ონკოლოგიური ცენტრი; შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრი"; სს სტომატოლოგიური კლინიკა საპარუსი; სტომატოლოგიური კლინიკა "ელიტი"; სს "ვისოლ ჯგუფი"; შპს "მბს"; თბილისის 58-ე საბავშვო ბაგა-ბაღი; თბილისის N15 საბავშვო ბაგა-ბაღი; თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი და სხვა.

კოლეჯ პანაცეას უკვე წლებია აქვს სტაბილური, სანდო, კვალიფიციური პარტნიორის რეპუტაცია.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა არის ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო რესურსის "საექთნო საქმე", "მეან-ექთანი", "პირველადი გადაუდებელი დახმარება" და მასწავლებლის გზამკვლევი "პირველადი გადაუდებელი დახმარების" ავტორი /თანაავტორი.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის (სკკა) დამფუძნებელი და გამგეობის წევრი 2013 წლიდან.

2014 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების კოლეჯებთან - ლატვია, (დაუგავპილის სამედიცინო კოლეჯი), ესტონეთი (ტალინის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯი).

2018 წლიდან კოლეჯი გერმანელ პარტნიორებთან ერთად ახორციელებს პროექტს: "გერმანული ენის შესწავლის ინტენსიური კურსი (გერმანული მხარის სრული დაფინანსებით) პანაცეას საექთნო განათლების სტუდენტებისა და დიპლომირებული ექთნებისთვის, შემდგომ მათი ლეგალური დასაქმება გერმანიის კლინიკებში".

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა დაჯილდოვდა წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტულით.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეაში ამჟამად სწავლობს 500-ზე მეტი პროფესიული სტუდენტი და დასაქმებულია 100-ზე მეტი თანამშრომელი: ადმინისტრაცია, პროფესიული მასწავლებელი და დარგის სპეციალისტი.

მიმართვა სტუდენტებს

მოხარული ვართ თქვენი არჩევანით ისწავლოთ, უძველეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში. პროფესიის არჩევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ცხოვრებისეული გადაწყვეტილებაა. მით უფრო რთულია, განსაკუთრებით, ადრეულ ასაკში, განსაზღვრო შენი მომავალი კარიერა.

კოლეჯი პანაცეა თითქმის საუკუნეზე მეტია ახორციელებს ჯანდაცვის მიმართულების პროგრამებს, თუმცა ბოლო ორი წელია ჩვენ საზოგადოებას შევთავაზეთ პრიორიტეტული და მოთხოვნადი, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო ასევე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები.

კოლეჯის ხელმძღვანელობა გპირდებით, რომ ჩვენთან თქვენ დაგხვდებათ მეგობრული, კომფორტული გარემო და ადამიანთა გუნდი, რომელიც იზრუნებს, სრულფასოვნად დაეუფლოთ თქვენ მიერ არჩეულ პროფესიას და ამასთანავე, აიმაღლოთ პიროვნული და სამოქალაქო პასუხისმგებლობა. აღვნიშნავთ, რომ გაჩნდა შესაძლებლობა სტუდენტთა გაცვლითი ვიზიტებისა ჩვენს უცხოელ პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

გპირდებით, სწავლასთან ერთად თქვენი სტუდენტური წლები სავსე იქნება სხვადასხვა საინტერესო კულტურული, შემოქმედებითი, სპორტული ღონისძიებებით.

პანაცეას პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებში თქვენ შეიძენთ იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომელიც ხელს შეგიწყობთ დასაქმებაში. ამით ჩვენ ნამდვილად ვამაყობთ - საშუალოდ კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არის 80%. თქვენი საინტერესო სტუდენტური ცხოვრება იწყება აქ, **პ ა ნ ა ც ე ა შ ი!**

კოლეჯის დირექტორი
ვასილ კიკნაძე

კოლეჯის დირექტორის მოადგილე
მაია ჩიხლაძე

მიმართვა სტუდენტებს

მადლობას გიხდით, რათა გამონახეთ დრო გაეცნოთ ჩვენს სასწავლებელს კოლეჯ პანაცეა წარმოადგენს ევროპული ტიპის მოდერნიზებულ სასწავლო დაწესებულებას, რომელსაც გააჩნია საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საბაზრო ურთიერთობაზე ორიენტირებული, მუდმივად განახლებადი სასწავლო გეგმები და პროგრამები.

ხარისხი პროფესიულ განათლებაში არის ეკონომიკური ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისობა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც კოლეჯის მუდმივი ზრუნვის საგანია, ემსახურება ამ შესაბამისობის მიღწევას.

ჩვენი პროგრამები და კურსები საშულებას აძლევს სტუდენტებს მოემზადონ ახალი პროფესიების ათვისებაში და გამოიმუშავონ პროფესიული უნარ-ჩვევები ჯანმრთელობის დაცვის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, დაწყებითი განათლების, სასტუმრო მომსახურების, ტანსაცმლის კონსტრუირებისა და სამკერვალო მიმართულებებით. სახელმწიფო ორგანიზაციებთან, პროფესიულ ასოციაციებთან, კერძო სტრუქტურებთან და სხვადასხვა დარგის მოქმედ სპეციალისტებთან პარტნიორობით კოლეჯში მზადდებიან მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრები, რომელთაც შეუძლიათ თავისუფლად გაერკვნენ სწრაფად ცვლად გარემოში და დაიკავონ თავიანთი ადგილი კონკურენტულ შრომის ბაზარზე.

თუ თქვენ მზად ხართ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება, ჩვენ მოგეხმარებით პროფესიის არჩევაში, გაგაცნობთ სასწავლო პროგრამებს, რომელთა ათვისებაც გააფართოვებს თქვენი ცოდნის ჰორიზონტს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ბერაია

კოლეჯის სტატუსი

1. საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას-შ.პ.ს და შექმნილია საქართველოს კანონების „მეწარმეთა შესახებ“ და კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ მოთხოვნათა დაცვით.

2. კოლეჯი ორიენტირებულია სხვადასხვა დონის პროფესიული განათლების პროგრამებისგანხორციელებაზე

მისია, ხედვა ღირებულებები

მისია

ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საუკუნოვანი ისტორიის მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა ადამიანური და მატერიალური რესურსის უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფის გზით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კვალიფიციური, კომპეტენტური კადრების მომზადება, მათი პიროვნული, პროფესიული განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, კოლეჯი ძირითადი პროფილის შენარჩუნებით, უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო ასევე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შეთავაზებას.

ხედვა

2027 წლისთვის საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა წარმატებული და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარს მიაწოდებს კვალიფიციურ და კომპეტენტურ კადრს. კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, ყველა პროგრამაზე, იქნება სულ მცირე 70%.

ღირებულებები

- პროფესიონალიზმი;
- სამართლიანობა;
- გუნდურობა;
- პასუხისმგებლობა;
- ტრადიციებისადმი ერთგულება

პანაცეას სტრუქტურა



პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

ზოგადი დებულებანი

ეს რეგულაციები ადგენს კოლეჯ პანაცეაში პროფესიული სტუდენტისათვის (შემდგომში სტუდენტი):

- სტუდენტის სტატუსის მოპოვებას
- სტუდენტის სტატუსის შეჩერება
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას
- მობილობას
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სტუდენტს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ან/და მოდულით და ამ წესით.
პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

1 პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საზოგადოებრივი კოლეჯ „პანაცეა"-ს პრეროგატივას. კვალიფიკაციის მინიჭება ხდება დაწესებულებაში მოქმედი საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე: პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული ყველა მოდულებით (სავალდებულო ზოგადი, სავალდებულო პროფესიული მოდული და არჩევითი პროფესიული მოდულით(არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული კრედიტები.

2 მას შემდეგ, რაც მოხდება მოცემული კვალიფიკაციის ყველა მოდულის სწავლის შედეგების დადასტურება და სტუდენტების თითოეული მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, საკვალიფიკაციო კომისია იხილავს სტუდენტის პირად საქმეს, მის მიერ მიღებულ შეფასებებს.

3 საკვალიფიკაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ან კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

4 საკვალიფიკაციო კომისია გადაწყვეტილებას წარმოადგენს ოქმის სახით ;

5 საკვალიფიკაციო კომისიის ოქმის საფუძველძე დირექტორი გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს -ბრძანებას განსაზღვრული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების და შესაბამისი დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით შესახებ.

სტუდენტთა და მსმენელთა სერვისები

პროფორიენტაციის სერვისი

დაინტერესებულ პირს შეუძლია ისარგებლოს საკონსულტაციო მომსახურებით, მიიღოს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, რეგისტრაციის, პროფესიული ტესტირების, ჩარიცხვის, პრაქტიკის განხორციელების ადგილების და სხვა მნიშნელოვანი საკითხების შესახებ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, საკონტაქტო ინფორმაცია:
თამილა ბერიძე 551 22 05 01; E-mail: t.beridze@panacea.edu.ge

დასაქმების სერვისი

კარიერული საკითხების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ხდება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კონსულტირება, ეძლევა ინფორმაცია პარტნიორი კომპანიების, ვაკანსიების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მონაწილეობით ეწყობა შეხვედრები დამსაქმებლებთან, ასევე შექმნილია facebook ჯგუფი

ბიბლიოთეკა

პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსით, ბიბლიოთეკის საძიებო საშუალებებით, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ფორმით. ელექტრონული საძიებელი და ელექტრონული ლიტერატურა განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე www.panacea.edu.ge.
პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს შეუძლია ისარგებლოს სამკითხველო დარბაზით და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ნადია ხინჩაგაშვილი- 557 58 00 44; E-mail: n.khinchagashvili@panacea.edu.ge

უსაფრთხოების სამსახური

უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოებას: შრომის უსაფრთხოებას, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას და პირველად გადაუდებელ დახმარებას.

„დასაქმება პანაცეას სტუდენტებისთვის", რომელშიც გაერთიანების საშუალება აქვთ როგორც პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ასევე კურსდამთავრებულებს. ჯგუფში განთავსებულია ინფორმაცია შემოთავაზებული ვაკანსიების შესახებ

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, საკონტაქტო ინფორმაცია:
თამილა ბერიძე-551 22 05 01; E-mail: t.beridze@panacea.edu.ge

სტუდენტთა და მსმენელთა სერვისები

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა

სასწავლო პროცესის დაწყებისას კოლეჯში ხორციელდება პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ადაპტირება, პროფესიულ სტუდენტს/მსენელს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს საკონსულტაციო/საინფორმაციო სერვისებით, რომელიც შეეხება სასწავლო პროცესის ორგანიზებას და დაგეგმვას, შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებულ პროცესებს, სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობასა და სხვა.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საკონტაქტო ინფორმაცია:
ნინო ჩომახაშვილი-555 37 35 70; E-mail: ninochomaxashvili@panacea.edu.ge

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინიციატივების მხარდაჭერა

კოლეჯში დამონტაჟებული ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით ხორციელდება შენობის გარე პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგი. ვიდეოთვალთვალი ხორციელდება ასევე შენობის შიგნით, საკუთრების დასაცავად

საკონტაქტო ინფორმაცია:
პირველადი გადაუდებელი დახმარება- ექიმი
ნაზი კაშეიშვილი-598 74 97 07;
მადლენა დეკანოიძე-598 10 64 15;
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი-იოსებ ბზიშვილი 574 30 33 08;
სახანძრო უსაფრთხოების სპეციალისტი-ვასილ კიკნაძე 599577076;
ნადია ხინჩაგაშვილი- 557 58 00 44;
სსსმ/შშმ პირების მხარდაჭერა

ინკლუზიური განათლებით სწავლების შემთხვევაში კოლეჯი ერგება ნებისმიერი საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს კულტურით, სასწავლო გარემოთი, წესებით, სასწავლო გეგმით, მეთოდებით, პროფესიული მასწავლებლებით.

მატერიალური რესურსების გამოყენება

კოლეჯი მხარს უჭერს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა არაფორმალური აქტივობების წახალისებას და შემუშავებული აქვს ინიციატივის და გადაწყვეტის მექანიზმები, ადმინისტრაციასა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს შორის ეფექტური კომუნიკაციისთვის კოლეჯში შექმნილია სტუდენტთა წარმომადგენლობითი საბჭო.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, საკონტაქტო ინფორმაცია:
თამილა ბერიძე-551 22 05 01; E-mail: t.beridze@panacea.edu.ge

ყველა პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, მათ შორის სსსმ და შშმ პირებს, თანაბარი უფლება აქვთ ისარგებლონ: კოლეჯის ინფრასტრუქტურით, სივრცეებით, მათ შორის რეკრეაციული სივრცეებით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო რესურსებით.

პარტნიორი ორგანიზაციები

საკვალიფიკაციო პროგრამების ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის განხორციელების უფლება აქვს დაწესებულებას.

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების დონე
1	საექთნო საქმე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში	180	მეხუთე
2	ფარმაცია (სააფთიაქო)	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში	123	მეხუთე
3	აღმზრდელი (სკოლამდელი განათლება)	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელი აღმზრდელი	116	მეხუთე
4	ინფორმაციის ტექმოლოგიის მხარდაჭერა	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექონოლოგიის მხარდაჭერა	61	მესამე
5	კბილის სატექნიკო საქმე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090252	85	მეოთხე
6	სასტუმრო მომსახურება	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში	80	მეოთხე
7	სამკერვალო წარმოება	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში	110	მესამე

მომზადება-გადამზადების პროგრამები

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, რომლის განხორციელების უფლება აქვს დაწესებულებას.

	პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის დასახელება	საათების რაოდენობა	პროფესიული განათლების დონე
1	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა	180	მეხუთე
2	გერიატრიული ასისტენტი	146	მესამე
3	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	150	მესამე
4	ვიდეოოპერატორი	192	მეოთხე
5	სასტუმროს მიღებაგანთავსების სპეციალისტი	137	მეოთხე
6	ქალის უსარჩულო ქვედა კაბის და კაბის ინდივიდუალური მკერავ-კონსტრუქტორი	191	მესამე
7	ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მკერავტექნოლოგ	92	მეოთხე
8	ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება მოდელირება	56	მესამე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“

მისანიჭებელი კვალიფიკაცა

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing

მიზანი:

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
- განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
- განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება

პროგრამის მოცულობა

საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობაა 171.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის სამი წელი , სრული დატვირთვით.

პროგრამის ხელმძღვანელი - ლეილა ვოსკანიანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“

მისანიჭებელი კვალიფიკაცა

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy.

მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) მიზანია ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა. კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.

დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
- დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
- სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
- განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული, საბოლოო კონტროლი;
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
- მოამზადოს რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმები;
- გაითვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;

პროგრამის მოცულობა

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს/ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით.
სულ 123 კრედიტი.

პროგრამის ხელმძღვანელი - ინგა ბაქრაძე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში-/ Secondary Vocational Qualification in Dental Studies

მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კბილის სატექნიკო საქმის, კონკურენტუნარიანი კადრები.

დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

დენტალური საქმის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის ტექნიკოსად, კბილის სატექნიკო კაბინეტში, კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში, სტომატოლოგიურ კლინიკაში.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დაგეგმოს სატექნიკო ლაბორატორიის მოწყობა
- შეამოწმოს აპარატურის გამართულობა
- გააკეთოს არჩევანი კონკრეტული კლინიკური სიტუაციის მიხედვით ოკლუდატორსა და არტიკურატორს შორის
- ჩაათაბაშიროს მოდელის ოკლუდატორსა ან არტიკულატორში
- ჩამოასხას მთლიანი მოსახსნელი პროთეზების დასამზადებლად თაბაშირის საორიენტაციო მოდელები
- მონიშნოს საზღვრები მთლიანი მოსახსნელი პროთეზების დასამზადებლად თაბაშირის საორიენტაციო ჩამოსხმულ მოდელებზე
- გადააკრას საორიენტაციო მოდელზე ცვილის ფირფიტა
- დაამზადოს არჩეული მასალით ინდივიდუალური კოვზი
- დაამზადოს ნაწილობრივი ფირფიტოვანი პროთეზებისთვის სამუშაო მოდელი
- დააფიქსიროს კლამერი ბაზისში
- შეარჩიოს/დააფიქსიროს ხელოვნური კბილები
- მოახდინოს მოდელებზე საყრდენი კბილების გრავირება
- დაამზადოს დასაშლელი კომბინირებული თაბაშირის მოდელი
- შეაფასოს თვისობრივად ექიმის მიერ მოწოდებული ანაბეჭდი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის საერთო მოცულობაა: სულ 85 კრედიტი
(რომელთაგან 15 კრედიტი არის ზოგად მოდულები, 12 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, ხოლო დანარჩენი 58 კრედიტი არის პროფესიული მოდულები).

ხანგრძლივობა:67 სასწავლო კვირა

პროგრამის ხელმძღვანელი - ნინო ჩომახაშვილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“

მისანიჭებელი კვალიფიკაცა

უმაღლესი კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში Higher Vocational Qualification in Preschool Education.“

მიზანი:

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწერებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძია დასაქმდეს აღმძრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვით დასაქმებით აღმზრდელად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება;
- მრავალფეროვანი მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
- წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

პროგრამის მოცულობა

არის 116 კრედიტი, რომელთაგან 105 კრედიტი არის სავალდებულო დარგობრივი პროფესიული მოდულები.
11 კრედიტი არის სავალდებულო ზოგადი მოდულები.

პროგრამის ხელმძღვანელი - ინგა მეტრეველი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცა ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support.

მიზანი

პროგრამის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები. კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურულიდაპროგრამულიპრობლემისიდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

პროგრამის მოცულობა

არის 61 კრედიტი:

პროგრამის ხელმძღვანელი - იოსებ ბზიშვილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა : სასტუმრო მომსახურება

მისანიჭებელი კვალიფიკაცი:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Servic

მიზანი:

პროგრამის მიზანია, მოამზადოს სასტუმროს მომსახურების სპეციალისტები, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის

დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

სასტუმროს მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სასტუმროებსა და განთავსების მსგავს ორგანიზაციებში (რესტორნებით და რესტორნების გარეშე) შემდეგ პოზიციაზე: სასტუმროს მიმღების ოპერატორები, ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები.

• კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა : სასტუმრო მომსახურება

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:
1. განახორციელოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურა
2. უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება
3. შეასრულოს სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობა
4. უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა
5. სასტუმროში მართოს პრობლემური სიტუაციები
6. აკონტროლოს ცვლების მონაცვლეობა
7. უზრუნველყოს სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება.

პროგრამის მოცულობა:

სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 80 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 8 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა 72.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს , როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ კომპონენტს. სწავლება- სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის ორი წელი, სრული დატვირთვით.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის“ მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პრაქტიკული პროექტი განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სპეციალიზაციისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.

პროგრამის ხელმძღვანელი - ნიკა პაპიაშვილი

პროგრამის ხელმძღვანელია - ირინა მარკოსიანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში / Basic Vocational Qualification in Sewing Industry

მიზანი:

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა სამკერვალო წარმოებისათვის. სპეციალისტი შეძლებს, ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის და სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და მასალაში შესრულებას, ასევე, ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულებას და დეკორატიულ გაფორმებას, ტანსაცმლის შეკეთებას, გადაკეთებას და აღდგენას, საკერავი მანქანებისა და თბურ-დანამვითი დანადგარების შერჩევა/გამოყენებას და სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლს

დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციით სამკერვალო წარმოებაში პირს შეუძლია დასაქმდეს დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოებში, მოდის სალონებში მკერავის და კონსტრუქტორის პოზიციაზე

პროგრამის ხელმძღვანელია - ირინა მარკოსიანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

პირს შეუძლია:

1. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო ადგილის ორგანიზება

2. შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის კომპოზიცია

3. შეარჩიოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები, დაამზადოს ჩანახაზი და გამოჭრას ქსოვილი

4. გამოიყენოს ტანსაცმლის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობები

5. დაამუშაოს ტექნოლოგიურად ტანსაცმლის დეტალები და ძირითადი კვანძები

6. გაიანგარიშოს საწყისი მონაცემები ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარებისათვის

7. განახორციელოს ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარება და მოდელირება

8. გააფორმოს დეკორატიულად ქართული ეროვნული სამოსი

9. შეასრულოს მასალაში ქართული ეროვნული სამოსი

10. შეასრულოს მასალაში ქალის ტანსაცმელი

11. შეასრულოს მასალაში მამაკაცის ტანსაცმელი

12. შეასრულოს მასალაში ბავშვის ტანსაცმელი

13. შეასრულოს მასალაში სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმი

14. გადააკეთოს ტანსაცმელი

15. აღადგინოს ტანსაცმლის დაზიანებული უბნები.

პროგრამის მოცულობა

სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 100 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 17 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა 83.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს , როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ კომპონენტს. სწავლება- სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის ორი წელი, სრული დატვირთვით.

პროგრამის ხელმძღვანელია- ქეთევან მეძმარიაშვილი

ექთნის ფიცი-პანაცეას ფიცი

პ - ირობას ვდებ!

ა - რჩეულ პროფესიაში ვიყო ღირსეული!

ნ - ებისმიერ დროს ჩემი საზრუნავი იყოს პაციენტის ჯანმრთელობა!

ა - რ გამოვიყენო ჩემი ცოდნა პაციენტის ჯანმრთელობის საზიანოდ!

ც - ხოვრების დევიზად გავიხადო ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნვა!

ე - რთგულად ვემსახურო ჩემს პროფესიას!

ა - რასოდეს დავივიწყო მორალური და ზნეობრივი პრინციპები!

პანაცეას შესახებ

ზაზა სინაურიძე
დამსაქმებელი სამედიცინო ეკოსისტემა პინეო პერინატალური ცენტრის ხელმძღვანელი

საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ აქვს აწყობილი მძლავრი სასწავლო პროცესი, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე კლინიკურ, საუკეთესო პრაქტიკაზე, განახლებულ გაიდლაინებსა და პროტოკოლებზე.
კოლეჯის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან მოწესრიგებულობით, ხარისხიანი განათლებითა და უნარ-ჩვევებით. შესაბამისად, **საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას კურსდამთავრებული ყოველთვის პრიორიტეტულია კლინიკა პინეოსათვის.**

იაგორ კალანდაძე
სამედიცინო ეკოსისტემა პინეო, სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ დავახასიათებ, როგორც მოტივირებულ სასწავლო პროფესიულ დაწესებულებას, რომელიც რეგულარულად ზრუნავს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.
კოლეჯი არჩევს აქტიურ კლინიკურ ბაზებს, სადაც მომავალი ექთნები მიიღებენ რეალურად ფასეულ, რელევანტურ საექთნო განათლებასა და უნარ-ჩვევებს.

ირმა მოდებაძე
პანაცეას კურსდამთავრებული, პროფესიული მასწავლებელი,სამედიცინო ეკოსისტემა პინეო პეინატალური ცენტრის მთავარი ექთანი

მე, როგორც პანაცეას კურსდამთავრებულს და ამჟამად ერთ-ერთ დამსაქმებელს, კოლეჯთან მრავალწლიანი თანამშრომლობა მაკავშირებს, აქედან გამომდინარე თავისუფლად შემიძლია ვისაუბრო მასზე:

მე, როგორც პანაცეას კურსდამთავრებულს და ამჟამად ერთ-ერთ დამსაქმებელს, კოლეჯთან მრავალწლიანი თანამშრომლობა მაკავშირებს, აქედან გამომდინარე თავისუფლად შემიძლია ვისაუბრო მასზე:

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა არის სასწავლო დაწესებულება, რომელიც:

- იძლევა როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ ხარისხიან განათლებას, რაზეც მეტყველებს მათი მაღალი კომპეტენცია;
- სასწავლო დაწესებულება დაკომპლექტებულია გამოცდილი პროფესიული მასწავლებლებით;

პანაცეას შესახებ

- კოლეჯი თანამშრომლობს წამყვანი კლინიკების ფართო სპექტრთან, რაც პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მაღალ დონეზე დაეუფლოს ექთნის პროფესიას;

კოლეჯი პანაცეა ყოველთვის მზად არის სიახლეებისთვის, რაც სამედიცინო სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია.

იმის გათვალისწინებით, რომ ექთნები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დღევანდელ ჯანდაცვის სისტემაში, დამსაქმებლები ყოველთვის უპირატესობას ვანიჭებთ სწორედ ასეთი მიდგომებით გამოზრდილ პროფესიონალ კადრს. პანაცეას კურსდამთავრებულები მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ზრუნვით ეპყრობიან პაციენტებს, სწრაფად და ხარისხიანდ აკმაყოფილებენ მათ საჭიროებებს. ისინი არა მხოლოდ ფლობენ საექთნო საქმის პროგრამით შეძენილ კომპეტენციებს, არამედ აქვთ სხვა თვისებებიც: თანაგრძნობა, ყურადღება, პასუხისმგებლობა, პუნქტუალობა. რაც მათი პროფესიულ წარმატების გარანტიაა!

ლეილა ვოსკანიანი
ექთანი, პროფესიული მასწავლებელი სამედიცინო ეკოსისტემა პინეო -მთავარი ექთანი

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა, საქართველოში საუკეთესო სამედიცინო კოლეჯის იმიჯით სარგებლობს. ამ საუკუნოვანი ტრადიციების კოლეჯში ამზადებენ ყველაზე მოთხოვნად სამედიცინო პერსონალს - ექთნებს და შინმოვლის სპეციალისტებს. ამის გარანტიაა მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები თეორიულ ნაწილში და კლინიკებში შერჩეული მაღალკვალიფიციური, გამოცდილი, ექთნები.

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა, საქართველოში საუკეთესო სამედიცინო კოლეჯის იმიჯით სარგებლობს. ამ საუკუნოვანი ტრადიციების კოლეჯში ამზადებენ ყველაზე მოთხოვნად სამედიცინო პერსონალს - ექთნებს და შინმოვლის სპეციალისტებს. ამის გარანტიაა მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები თეორიულ ნაწილში და კლინიკებში შერჩეული მაღალკვალიფიციური, გამოცდილი, ექთნები.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სამედიცინო ბაზარზე არსებულ, მაღალტექნოლოგიურ შესაძლებლობის მქონე კლინიკებთან, მათ შორის არის „სამედიცინო ეკო სისტემა პინეო“, სადაც სტუდენტს ეძლევა საშუალება პროფესიულ მასწავლებელების-ექთნების მეთვალყურეობის ქვეშ და მათი ჩართულობით, შეიძინოს ყველა საექთნო უნარი და პროფესიული ჩვევა ქვეყანაში მიღებულ და დამტკიცებულ პროტოკოლებზე დაყრდნობით

სტუდენტებს ეძლევთ საშუალება გამოცდილების გაზიარების მიზანით, კლინიკური პრაქტიკა გაიარონ როგორც საქართველოს კლინიკებში, ასევე საზღვარგარეთ.
 კოლეჯი სტუდენტებს, სწავლის პერიოდში სთავაზობს, გარანტირებულ დასაქმებას, პარალელურად დაკავშირებული პროფესიების მოპოვების შესაძლებლობას, აქტიურ მონაწილეობას კონფერენციებში და საზოგადოებრივ აქტივობებში.
კოლეჯი, ასევე ქტიურად მონაწილეობს ქვეყნის შიდა და საერთაშორისო პროექტებში.

"ისწავლეთ ჩვენთან ერთად მიზნების დასახვა, დაგეგმეთ თქვენი ქმედებები და მიაღწიეთ შედეგებს"

პანაცეას შესახებ

ქეთევან გარსევანიშვილი
ჩაფიძის სახელობის კლინიკის მთავარი ექთანი. პანაცეას პროფესიული მასწავლებელი, საქართველოს ექთანთა ასოციაციის პრეზიდენტი

საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“ სტუდენტს საუკეთესო განათლებით და დასაქმების რეალური პერსპექტივით უზრუნველყოფს; ეს არის ადგილი, სადაც იქმნება ახალი საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტებს გადასცემენ ცოდნას;

დინამიური განვითარებით და პროგრესისაკენ სწრაფვით იგი მოწინავეა საგანმანათლებლო სივრცეში. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიის სამჭედლო, რომლის კურსდამთავრებულებს ელოდება სამედიცინო სისტემა. ეს არის ყველაზე ინოვაციური კოლეჯი , სადაც პრიორიტეტი ენიჭება პიროვნების განათლებას, რაც პატიოსნებასა და შრომაზე დაფუძნებული პროფესიული საქმიანობით განაპირობებს საზოგადოების ჯანსაღ, ჰუმანურ და დემოკრატიულ განვითარებას .



დათო ყრუაშვილი
კბილის სატექნიკო საქმე, დამსაქმებელი

ვარ პროფესიით კბილის ტექნიკოსი,სატექნიკო ლაბორატორია D &K LAB -ის ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიული მასწავლებელი, მასწავლებლის პროფესია რთული და საპასუხისმგებლოა, ახალგაზრდა თაობის აღზრდა, განათლება და პროფესიონალებად ჩამოყალიბება მასწავლებლის შრომაზე და ოსტატობაზეა დამოკიდებული.

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა არის საიმედო ადგილი, რომელიც სტუდენტებისთვის ქმნის საუკეთესო გარემოს, აძლევს განათლებას და ხელს უწყობს მათ დასაქმებას -„შენი არჩევანი-შენი წინსვლაა“

„პანაცეას“ კურსდამთავრებულები.

ია გელენიძე
ამერიკული ჰოსპიტალი

„ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის“ საექთნო სამსახურის დირექტორი, ია გელენიძე.

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტი, ექთანთა გაერთიანების პრეზიდენტი, საქართველოს დელეგატი საერთაშორისო საექთნო საბჭოში - ICN, გლობალური საექთნო კვლევის - „საექთნო რეგულაციების განვითარება და პრაქტიკის სფეროს სტანდარტები მსოფლიოში“, ერთ-ერთი თანაავტორი, საზოგადოებრივი კოლეჯი

„ყოველთვის მქონდა განსხვავებული იდეები, ვიყავი მუდამ აქტიური, როგორც სტუდენტი, მქონდა პედაგოგების მხარდაჭერა და მოტივაცია მნიშვნელოვანი წვლილი შემეტანა პროფესიის განვითარებაში, ეს იყო და არის დღესაც ჩემი, როგორც დარგის სპეციალისტის მიზანი. ვმონაწილეობდი სტუდენტურ კონფერენციებში და დარგობრივ აქტივობებში. „პანაცეა“ სტუდენტების მაღალი ხარისხის განათლებასა და პროფესიულ ინტერესებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება გახლდათ, დღესაც არის და იქნება ყოველთვის, მე ვარ ამაყი, რომ ვარ კოლეჯი „პანაცია“-ს კურსდამთავრებული. ეს არის ადგილი სადაც გასწავლიან ზრუნვას, თანადგომას, საზოგადოებრივი და პროფესიული ღირებულებების დაცვას, გასწავლიან თუ როგორ გახდე საუკეთესო ექთანი და როგორ მიაღწიო წარმატებას პროფესიაში.

ირმა რაზმაძე:

„ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის“ სტაციონარული საექთნო დეპარტამენტის დირექტორი, „კრიტიკული მედიცინის საექთნო ასოციაციის“ დამფუძნებელი ირმა რაზმაძე, პროფესიული განათლების პედაგოგია.

ის საზოგადოებრივი კოლეჯი - „პანაცეა“-ს კურსდამთავრებულია. „პანაცეასთან“ თანამშრომლობის შედეგად იგი ბევრ მოტივირებულ ახალგაზრდა კადრს ელის და სიამაყით აცხადებს, რომ, როგორც დამსაქმებელი შერჩევის ეტაპზე, უამრავ ექთნებს შორის, ყოველთვის „პანაცეას“ კურსდამთავრებულებს ანიჭებს უპირატესობას.

„ბედნიერი ვარ, რომ „პანაცეაში“ ვსწავლობდი, რადგან იქ ჩემი პროფესია ძალიან შემიყვარდა. რაც შეეხება ამ კოლეჯის სტუდენტებს, რომლებიც ჩვენს ჰოსპიტალში გადიან პრაქტიკას, რასაკვირველია, მათ შორის, მომავალ თანამშრომლებსაც ვხედავ, თითოეული სტუდენტისათვის პრაქტიკული აქტივობები და მიღწევები იმდენად შთამბეჭდავია, რომ შეფასების შედეგების საფუძველზე გვაქვს მოლოდინი, რომ უმრავლესობა დასაქმდება ჩვენს კლინიკაში. “

ირმა რაზმაძე:
„პირველ რიგში, „პანაცეამ“ პროფესია შემაყვარა. ამის გარეშე, დღეს წარმატებული ექთანი ვერ ვიქნებოდი. “პანაცეა“ ჩვენი ფესვები და მყარი საძირკველია “.

„პანაცეას“ კურსდამთავრებულები.

რუსუდან მეცხოვრიშვილი
ამერიკული ჰოსპიტალი

„ამერიკული ჰოსპიტლ თბილისის“ ამბულატორიული დეპარტამენტის საექთნო სერვისების დირექტორი რუსუდან მეცხოვრიშვილი, „პანაცეას“ კურსდამთავრებულია.

რუსუდან მეცხოვრიშვილი:
„პანაცეა“ არის კოლეჯი, რომელიც ნოვატორული, სიახლეების მაძიებელი და განათლებაზე ორიენტირებულია.

ასეთ გარემოში მყოფი სტუდენტები მომავალ პროფესიონალებად ყალიბდებიან, ასევე სწავლობენ და იძენენ ბევრ ისეთ თვისებას, რაც მათ საქმიანობაში წარმატების მიღწევაში დაეხმარება.
კოლეჯი „პანაცეა“, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება არის პლაცდარმი, სადაც იზრდებიან მაღალკვალიფიციური ექთნები.

სოფიო მაზანიშვილი
ფარმაციის პროგრამის კურსდამთავრებული

ფარმაცევტული სფეროს მიმართ ინტერესი ადრეულ ასაკში გამიჩნდა. სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე გავმხდარიყავი ამ პროფესიის-დიდი ოჯახის წარმომადგენელი. ამიტომ ჩავაბარე „პანაცეაში“

პანაცეაში სწვლისთვის და თერიული განვითარებისთვის დამხვდა იდეალური გარემო და რაც მთავარია, არაჩვეულებრივი ლექტორები.
აქ მიღებული ცოდნით მალევე დავიწყე მუშაობა პსპ-ს სააფთიაქო ქსელში ფარმაცევტის თანაშემწედ.

თავდაუზოგავი შრომით მალევე გავხდი ფარმაცევტი და ახლა უკვე მენეჯერის თანაშემწე.

პსპ არის N1 ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე და ჩემი მოტივაციაც ასეთი ძლიერი კომპანიის თანამშრომლობა იყო.
ამაყი ვარ, რომ მქვია ფარმაცევტი და ვარ „პანაცეას“ კურსდამთავრებული.

თეო ინჯგია
ფარმაციის პროგრამის კურსდამთავრებული

„პანაცეა“ ეს არის ადგილი, საიდანაც დაიწყო ჩემი, როგორც ფარმაცევტის პროფესიული განვითარება. **საუკეთესო მასწავლებლებისა და სასწავლო გარემოს დამახურებაა ჩემი პროფესიისადმი დიდი სიყვარული.**

მეორე კურსიდან უკვე შესაძლებლობა მომეცა პრაქტიკა გამევლო ფარმაცევტულ კომპანია „გეფა-ში“. ამის შემდგომ მე გავხდი „გეფას“ გუნდის წევრი და 8 წელია ფარმაცევტად დასაქმებული ვარ ამ კომპანიასში, რომელიც ვფიქრობ საქართველოში უალტერნატივო კომპანიაა!

„პანაცეას“ კურსდამთავრებულები.

ანა რიჟამაძე
ფარმაციის პროგრამის კურსდამთავრებული

თუ მკითხავთ - რატომ ავირჩიე ეს პროფესია, გიპასუხებთ, რომ ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა იდგე ფრონტის წინა ხაზზე, მით უფრო დღეს, როდესაც მსოფლიოში პანდემია მძვინვარებს. მეორე მხრივ, ეს არის უდიდესი სიამოვნება პოზოტივის, ზრუნვის, პატივისცემის გამოხატულება სრულიად უცხო ადამიანების მიმართ, რომლებიც ყოველდღიურად მოდიან შენთან რჩევის საკითხავად.

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა, კი არის საიმედო ადგილი, სადაც ყალიბდები შენი საქმის პროფესიონალად. ეს არის სასწავლებელი, რომელსაც შეგიძლია ანდო შენი მომავალი.

რატომ ავირჩიე ავერსი-ჩემთვის ავერსი სტაბილურობასთან, პროფესიონალიზმსა და სანდოობასთან ასოცირდება. რაც მთავარია ეს არის კომპანია, რომელიც გასწავლის, ზრუნავს შენს განვითარებაზე, ფარმაციის სიახლეეს მუდმივად გაცნობს და ზოგადად, საშუალებას გაძლევს განვითარდე და წინ წახვიდე.

ნიკა აივაზოვი
კბილის სატექნიკო საქმის კურსდამთავრებული

დედა მყავს კბილის ტექნიკოსი, ბავშვობიდან მან შემაყვარა ეს პროფესია და ავირჩიე კიდეც. სურვილი მაქვს ვიზრუნო ადამიანების ჯანმრთელობაზე და სილამაზეზე. კბილის ტექნიკოსის პროფესია მოითხოვს დაუღალავ შრომას და მუდმივად საკუთარ თავზე მუშაობას. კოლეჯ პანაცეაში მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ თავდაჯერებულობა შემძინა და გამიადვილა მუშაობა.

ამჟამად დასაქმებული ვარ სატექნიკო ლაბორატორია „დენტა ლაიფში" მე ვამაყობ ჩემი პროფესიით, გამომდის იმის კეთება, რაც ასე ძალიან მინდოდა, თუმცა სულ მინდა ახალი ვისწავლო,დავიხვეწო ჩემს საქმიანობაში და მივაღწიო წარმატებას.

„პანაცეას“ სტუდენტები

ირაკლი თოდუა
სტუდენტი

„ამერიკულ ჰოსპიტალ თბილისში“ პრაქტიკას გადის „პანაცეას“ სტუდენტი, ირაკლი თოდუა, რომელსაც განსაკუთრებით მოსწონს, როდესაც ადამიანებს ეხმარება:
„მიყვარს, როდესაც ადამიანებზე ვზრუნავ, განსაკუთრებით, თუ საქმე მათ ჯანმრთელობას ეხება, რადგან ეს ყველაფერზე ფასეულია.
ამის მიუხედავად, ვერ წარმოვიდგენდი, რომ „პანაცეაში“ მოვხვდებოდი, მაგრამ ისეთმა ადამიანმა გამიწია რეკომენდაცია, რომელიც სრულყოფილად ფლობდა ინფორმაციას სასწავლო პროგრამისა და სწავლების მეთოდების შესახებ, დავუჯერე და ჩავაბარე რა თქმა უნდა.

რაც შეეხება „ქართულ ამერიკულ ჰოსპიტალ თბილისს“, აქ ყევალფერი ძალიან მომწონს - კორპორატიული დამოკიდებულება, წესრიგი, დისციპლინა, საექთნო საქმიანობის შესრულების და მომსახურების ხარისხი“.

სალომე ჩოკოშვილი
სტუდენტი

სალომე ჩოკოშვილიც „პანაცეას“ სტუდენტი
სალომე „ამერიკულ ჰოსპიტალ თბილისში“ გადის პრაქტიკას. ის ექიმობაზე ოცნებობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ამერიკულ ჰოსპიტალ თბილისში“ პრაქტიკაზე მოხვდა და ია გელენიძე გაიცნო, ექიმობა გადაიფიქრა:
„პროფესიით ფარმაცევტი ვარ, სამედიცინო უნივერსიტეტში ვსწავლობდი და ამდენად, თეთრი ხალათი ჩემთვის უცხო არ იყო. ექიმობა მინდოდა, მაგრამ იმისთვის, რომ მართლაც პროფესიონალი გავმხდარიყავი, გადავწყვიტე, ექთნობიდან დამეწყო.

სწორედ ამიტომ ჩავაბარე „პანაცეაში“, სადაც ძალიან კარგი გარემო და პედაგოგები დამხვდნენ. მას შემდეგ, რაც „ამერიკულ ჰოსპიტალ თბილისში“, პრაქტიკაზე მოვხვდი, თავიდანვე „გრეის ანატომია“ გამახსენდა, ვთქვი, რომ ზუსტად ის კარი გავაღე, რაც ამ ფილმშია, მაგრამ ქალბატონ ია გელენიძესთან შეხვედრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ექიმებსა და ექთნებს შორის განსხვავება არ იყო. „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი“ არის ადგილი, სადაც ყველა თავისი საქმის პროფესიონალია, თამამად შეგიძლია, შენი პოზიციით იამაყო. ქალბატონ იასთან შეხვედრის შემდეგ, მიზნად დავისახე, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ექთანი გავხდე და ექიმობა საბოლოოდ გადავიფიქრე“.

აქტივობები

136
137

#SKILLSFORFUTURE



Camelyn and modern perspectives
PANACEA

МЕДИЦИНСКИ УНИВЕРСИТЕТ
ДЕСЕТА НАУЧНА СЕСИЯ
МЕЖДУНАРОДНО УЧАСТИЕ НА
Проф. д-р Параскева Стоянов
NURSING EDUCATION IN GEORGIA
PANACEA
Nino Gulua MD. PhD

SIOP Asia 2023 Yerevan
ASIAN SOCIETY FOR PEDIATRIC ONCOLOGY



საზოგადოებრივი კოლეჯი
პანაცეა

მისამართი: თბილისი, თ. ერისთავის ქუჩა 2
ტელ.: (995 32) 2 66 04 02 / (995 32) 2 34 58 63 / (599) 599 17 20 88
ელ-ფოსტა: panacea.2008@yahoo.com
www. panacea.edu.ge